



განათლების ხარისხის
განვითარების ეროვნული ცენტრი

მტკიცებულებათა გზამკვლევი



მტკიცებულებათა გზამკვლევი

კახაბერ ერაძე
დიანა გახარია

თბილისი, 2021



განათლების ხარისხის
განვითარების ეროვნული ცენტრი

სარჩევი

მტკიცებულებათა გზამკვლევი	2
ნაწილი 1. მტკიცებულების მნიშვნელობა	2
ნაწილი 2. მოთხოვნები მტკიცებულებათა მიმართ და მათი ტიპები	3
ნაწილი 3. მტკიცებულებათა გზამკვლევი	5
სტანდარტი 1. კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება	6
კომპონენტი 1.1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მისია	6
კომპონენტი 1.2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული განვითარება	7
სტანდარტი 2. საგანმანათლებლო პროგრამები	12
კომპონენტი 2.1. საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	12
კომპონენტი 2.2. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	18
კომპონენტი 2.3. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	23
კომპონენტი 2.4. სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	25
სტანდარტი 3. პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები	31
კომპონენტი 3.1. პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა	31
კომპონენტი 3.2. პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები	35
სტანდარტი 4. ადამიანური რესურსები	41
კომპონენტი 4.2. პერსონალის განვითარება	45
სტანდარტი 5. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	50
კომპონენტი 5.1. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	50
კომპონენტი 5.2. საინფორმაციო რესურსები	57
კომპონენტი 5.3. ფინანსური რესურსები	65

მტკიცებულებათა გზამკვლევი

ნაწილი 1. მტკიცებულების მნიშვნელობა


ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში მტკიცებულებებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. ზოგადად, შესაბამისი მტკიცებულების გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელია სტანდარტთან შესაბამისობის დადასტურება მოცემული ინდიკატორების მეშვეობით.

ამ მხრივ პროფესიული განათლების სისტემა მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას. 2020 წელს განხორციელებული მასშტაბური თვითშეფასების ანალიზმა გვიჩვენა, რომ კოლეჯების მიერ განხორციელებული თვითშეფასება მნიშვნელოვნად იყო აცდენილი ექსპერტთა შეფასებასთან. ეს ნიშნავს, რომ მტკიცებულება, რომელიც დაწესებულების მიერ იქნა გამოყენებული სტანდარტთან შესაბამისობის დასადასტურებლად, ექსპერტის მიერ არ იქნა გაზიარებული.

რეალურად, ანალიზმა გვიჩვენა სტანდარტებთან შესაბამისობის დაუდასტურებლობის ოთხი მიზეზი:

1. მტკიცებულება საერთოდ არ იყო წარმოდგენილი;
2. მტკიცებულება არ იყო შესაბამისი;
3. წარმოდგენილი მტკიცებულება არ იყო საკმარისი;
4. წარმოდგენილი მტკიცებულება არ იყო სანდო.

მაგალითად, მე-3 სტანდარტის (პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები) ნაწილში მტკიცებულებებთან მიმართებით გვაქვს შემდეგი სურათი:



სამწუხაროდ, ამ შემთხვევებში დგება უარყოფითი შეფასება ექსპერტის მხრიდან. მაღალი ალბათობით, გვინდა გვჯეროდეს, რომ რეალურად სურათი სტუდენტთა მხარდაჭერის ნაწილში ბევრად უკეთესია, და რომ დაწესებულება საკმარის ძალისხმევას ეწევა სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, თუმცა ეს ძალისხმევა არაა დადასტურებული მტკიცებულებებით.

სწორედ აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით იქნა შემუშავებული წინამდებარე გზამკვლევი, რაც, ვვარაუდობთ, რომ ხელს შეუწყობს დაწესებულებებს უკეთ დაადასტურონ სტანდარტებთან შესაბამისობა და დროულად იზრუნონ სათანადო მტკიცებულებების მოპოვებაზე.

მტკიცებულებები შესაძლოა არსებობდეს მატერიალური სახით, ინფორმაციის ელექტრონულ მატარებელზე ჩაწერილი სახით ან განთავსებული იყოს ინტერნეტ სივრცეში. ასევე აუცილებელია არაა მათი მთლიანად წარდგენა ცენტრისათვის, განაცხადის გაკეთების ან თვითშეფასების ანგარიშის ჩაბარების ეტაპზე (ინტერნეტ ბმულების წარდგენა პრობლემას არ ქმნის). მთავარია, ეს მტკიცებულებები არსებობდეს და დაწესებულებამ გონივრულ ვადებში წარუდგინოს ისინი ექსპერტებს ან დაინტერესებულ მხარეს.

ნაწილი 2. მოთხოვნები მტკიცებულებათა მიმართ და მათი ტიპები

მტკიცებულებათა შეფასების მიმართ არსებობს ორი პრინციპი: საკმარისობის და სანდოობის.

საკმარისობის პრინციპი დაცულია, თუ მტკიცებულება ან მათი ერთობლიობა ცალსახად ადასტურებს სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის ფაქტს.

სტანდარტთან შესაბამისობის დადასტურება ყოველთვის არ ხდება ერთი მტკიცებულებით, არამედ შესაძლოა მტკიცებულებათა ერთობლიობა გახდეს საჭირო.

მაგალითად, სტრატეგიულ დაგეგმვასთან დაკავშირებული ინდიკატორი: „სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს“.

ყურადღება მივაქციოთ, რომ ინდიკატორი ეხება დაგეგმარების პროცესს და არა მხოლოდ სტრატეგიულ დოკუმენტს. შესაბამისად, საუკეთესო სტრატეგიული გეგმაც კი ვერ იქნება ამ ნაწილში საკმარისი მტკიცებულება, რადგანაც ის პროცესის საბოლოო შედეგია და სულაც არ იძლევა წარმოდგენას თვითონ პროცესის მიმდინარეობის შესახებ. სტრატეგიულ გეგმაში ვერ დავინახავთ თანამონაწილეობითობას, ასევე თუ რა გზით, რა წყაროდან მოხვდა სტრატეგიულ გეგმაში ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტები და რა მექანიზმები იქნა გამოყენებული დაინტერესებული მხარეების მოლოდინების დასადგენად.

პროცესის შემოწმება კი გულისხმობს პროცესის ამსახველი დოკუმენტაციის/მასალების გაცნობასა და შეფასებას ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

მტკიცებულებათა საკმარისობის შეფასებას მოსდევს მათი შემოწმება სანდოობის თვალსაზრისით. მტკიცებულებათა **სანდოობა** უზრუნველყოფილია, როდესაც ამა თუ იმ სტანდარტთან დაწესებულების შესაბამისობის მიზნით წარმოდგენილი მტკიცებულების ნამდვილობა ეჭვს არ ბადებს.

განვიხილოთ მტკიცებულებათა ტიპები, მათ შორის სანდოობის თვალსაზრისით:

მტკიცებულების ტიპი	დახასიათება	სანდოობის ხარისხი
გარე, ვალიდირებული მტკიცებულებები	ესაა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ექსპერტთა მიერ მომზადებული დასკვნები და გაცემული რეკომენდაციები, სხვა გარე შემფასებლის დასკვნები, როგორცაა გარე აუდიტის, ISO ან EFQM ექსპერტთა, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის, საგანგებო სიტუაციების სამსახურის, შრომის ინსპექციის, სხვა უფლებამოსილი უწყებებისა და საერთაშორისო ან ეროვნულ დონეზე არსებული ორგანიზაციების და სააგენტოების დასკვნები, ნეიტრალური საკვალიფიკაციო კომისიის გადაწყვეტილებები და სხვა.	მაღალი
დაინტერესებული მხარეებისაგან მოპოვებული მტკიცებულებები	როგორცაა კურსდამთავრებულთა ან დამსაქმებელთა კვლევის შედეგები, ნომინაციები, ჯილდოები, აღიარება, დაინტერესებულ მხარეთა გამომხაურება და სხვა.	საშუალო
შიდა მტკიცებულებები	შიდა კვლევებით მიღებული შედეგები, მეცადინეობებზე დაკვირვების/დასწრების ოქმები, სტუდენტთა შეფასების შედეგები/უწყისები, მასწავლებელთა გამოკითხვები და სხვა.	დაბალი

აღნიშნული არ უნდა იქნეს გაგებული იმგვარად, რომ მტკიცებულებათა ბოლო ორი ტიპი არავალიდურია. პირიქით, მტკიცებულებათა დიდი ნაწილი სწორედ შიდა მტკიცებულებებია. გარე შემფასებელი გადაამოწმებს ამ მტკიცებულებებს სანდოობის უზრუნველსაყოფად. ამისათვის, როგორც წესი, **ინტერვიუ** გამოიყენება, რისი აუცილებლობაც არ დგას გარე, ვალიდირებული მტკიცებულებების შემთხვევაში.

ავტორიზაციის პროცესში გამოყენებული სავარაუდო მტკიცებულებების ჩამონათვალი ავტორიზაციის სტანდარტების ნაწილია და სტანდარტის შინაარსის მიხედვით ეს ჩამონათვალი იცვლება. ეს შეიძლება იყოს შეხვედრების ოქმები, კორესპონდენცია, პარტნიორ საწარმოსთან, პროფესიული განათლების მასწავლებელთან ან პროფესიულ სტუდენტთან დადებული ხელშეკრულებები, დამტკიცებელი პროგრამები, დაწესებულების მიერ მიზნობრივ ჯგუფებთან გამოყენებული კითხვარები, სატენდერო დოკუმენტები, შესყიდვის აქტები, სხვადასხვა სახის მომსახურების საფასურის გადახდის დოკუმენტები და სხვა. ამასთან მხედველობაში მიიღება, დაწესებულების მიერ იდენტიფიცირებულ საკითხებთან დაკავშირებით შემუშავებული/დამტკიცებული, შესაბამისობის ან/და განვითარების გეგმები.

უნდა აღინიშნოს, რომ სტანდარტში მოცემული მტკიცებულებები არაა ამომწურავი. დაწესებულებას შეუძლია სხვა სახის მტკიცებულებებიც გამოიყენოს.

იქ, სადაც მტკიცებულებას წარმოადგენს დიდი მოცულობის დოკუმენტი და კონკრეტული ინდიკატორისათვის საჭიროა ამ დოკუმენტის ამონარიდი, შესაძლოა ამონარიდი იქნეს წარმოდგენილი ძირითადი დოკუმენტის რეკვიზიტების მითითებით, ან ერთიანი დოკუმენტი იქნეს წარმოდგენილი რამდენიმე ინდიკატორისათვის, ხოლო თვითშეფასებაში, შესაბამის ინდიკატორთან მიეთითოს ერთიანი დოკუმენტის შესაბამისი ნაწილი (მუხლი/პუნქტი).

დოკუმენტაცია, რომელიც არაა ატვირთული დოკუმენტრუნვის ელექტრონულ სისტემაში, ასევე რეპორტაჟები და ინფორმაციები, რომლებიც არაა განთავსებული მასობრივ ან/და დაწესებულების სოციალურ მედიაში, ვერ იქნება მიჩნეული სანდო მტკიცებულებად.

ნაწილი 3. მტკიცებულებათა გზამკვლევი

რეკომენდებული მტკიცებულებები მოცემულია თითოეული ინდიკატორის მიხედვით. სიმბოლოები:



აღნიშნავს, რომ შემოწმების ობიექტია დოკუმენტი



აღნიშნავს, რომ შემოწმების ობიექტია პროცესი

შემოწმების მიდგომა მოიცავს რეკომენდაციებს შემფასებლისათვის, რათა მან სწორად განახორციელოს შესაბამისობის შემოწმება ინდიკატორის მიხედვით. შემფასებელი შეიძლება იყოს დაწესებულების ხარისხის მენეჯერი, ავტორიზაციის ექსპერტი ან ნებისმიერი პირი, რომელიც აფასებს დაწესებულების შესაბამისობას სტანდარტის მოთხოვნებთან.


ინტერვიუების ნაწილში მოცემულია ინტერვიუების ჩატარების შემთხვევაში მისი მიზანი, რაც ასევე სარეკომენდაციოა.


შენიშვნა: მტკიცებულებების ჩამონათვალში **მუქი ასოებით** მოცემული მტკიცებულებები აღნიშნავს EQAVET ინდიკატორებს.


სტანდარტი 1. კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება


კომპონენტი 1.1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მისია

კრიტერიუმი 1.1.1. პსდ-ს გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში

ინდიკატორი	1. პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;
შემოწმების ობიექტი	
შემოწმების საგანი	მისია
მტკიცებულება	დოკუმენტი, რომლითაც დეკლარირებულია მისია
შემოწმების მიდგომა	მისიის შედარება პროფესიული განათლების მიზნებთან
ინტერვიუ	არა

ინდიკატორი	2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან;
შემოწმების ობიექტი	
შემოწმების საგანი	მისია
მტკიცებულება	დოკუმენტი, რომლითაც დეკლარირებულია მისია
შემოწმების მიდგომა	მისიის შესწავლა ინდიკატორის მოთხოვნებთან მიმართებით
ინტერვიუ	არა

ინდიკატორი	3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;
შემოწმების ობიექტი	
შემოწმების საგანი	ხედვა და ღირებულებები
მტკიცებულება	დოკუმენტი, რომლითაც დეკლარირებულია ხედვა და ღირებულებები
შემოწმების მიდგომა	ხედვის და ღირებულებების შედარება მისიასთან
ინტერვიუ	არა


ინდიკატორი	4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.
შემოწმების ობიექტი	
შემოწმების საგანი	მისია, ხედვა და ღირებულებების გაზიარების ფაქტები და მათი ხელმისაწვდომობის შესაძლებლობა
მტკიცებულება	გაზიარების ფაქტის ამსახველი მტკიცებულებები, როგორცაა: <ul style="list-style-type: none"> - შეხვედრის ოქმები, ვებზე განთავსებული ნიუსები, მიმოწერა, რომელიც ემსახურებოდა მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების პროცესს ან/და მათ გაცნობას დაინტერესებული მხარეებისათვის;


	<ul style="list-style-type: none"> - დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირი მისიაზე, ხედვაზე და ღირებულებებზე და ზოგადად, დაწესებულების საქმიანობაზე: კომენტარები, „მოწონებები“, წერილები, სურვილები, სიუჟეტები; - დაწესებულების ფიზიკურ სივრცეში განთავსებული მისია, ხედვა და ღირებულებები; - დაწესებულების ვირტუალურ სივრცეში ხელმისაწვდომი მისია, ხედვა და ღირებულებები (აქტიური ბმულები);
შემოწმების მიდგომა	შემფასებლების მიერ მტკიცებულებათა გაცნობა/დათვალიერება
ინტერვიუ	დაინტერესებულ მხარეებთან, პროცესში მათი ჩართულობის გადასამოწმებლად

კომპონენტი 1.2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული განვითარება


კრიტერიუმი: 1.2.1 პსდ-ში დანერგილია დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორი	1. პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას;
შემოწმების ობიექტი	 
შემოწმების საგანი	მეთოდოლოგიის დოკუმენტი და მისი გამოყენების პრაქტიკა
მტკიცებულება	<ul style="list-style-type: none"> - სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის დოკუმენტი; - უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ დამტკიცებული სტრატეგიული განვითარების გეგმა (შვიდწლიანი), სამოქმედო გეგმა (ერთწლიანი); - სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების პროცესის დამადასტურებელი დოკუმენტები/აქტივობები: <ul style="list-style-type: none"> - შეხვედრის ოქმები, ვებზე განთავსებული ნიუსები, დოკუმენტების შუალედური ვერსიები, მიმოწერა, რომელიც ემსახურებოდა სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესს; - დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირი სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების პროექტებზე: კომენტარები, „მოწონებები“, წერილები, სურვილები;
შემოწმების მიდგომა	<ul style="list-style-type: none"> - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები შეესაბამება მეთოდოლოგიის დოკუმენტით განსაზღვრულ მოთხოვნებს; - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესი შეესაბამება მეთოდოლოგიის დოკუმენტით განსაზღვრულ მოთხოვნებს;
ინტერვიუ	დაინტერესებულ მხარეებთან, განხორციელებული პროცესის დადგენილ მეთოდოლოგიასთან შესაბამისობის გადასამოწმებლად


ინდიკატორი	2. სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს;
შემოწმების ობიექტი	
შემოწმების საგანი	სტრატეგიული განვითარების გეგმა, მისი შემუშავების პროცესი
მტკიცებულება	<ul style="list-style-type: none"> - უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ დამტკიცებული სტრატეგიული განვითარების გეგმა (შვიდწლიანი); - სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების პროცესის დამადასტურებელი დოკუმენტები/აქტივობები: <ul style="list-style-type: none"> - შეხვედრის ოქმები, ვებზე განთავსებული ნიუსები, დოკუმენტების შუალედური ვერსიები, მიმოწერა, რომელიც ემსახურებოდა სტრატეგიული გეგმის შემუშავების პროცესს; - დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირი სტრატეგიული გეგმის პროექტებზე: კომენტარები, „მოწონებები“, წერილები, სურვილები; - ჩანაწერები იმ მიდგომის შესახებ, რომლითაც დასტურდება, თუ რა გზით მოხდა ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტების და დაინტერესებული მხარეების მოლოდინების იდენტიფიცირება. ეს შესაძლოა იყოს გაწერილი მეთოდოლოგიის დოკუმენტში, ან წარმოდგენილი იყოს კითხვარები ან სხვა ინსტრუმენტები, რითაც განხორციელდა იდენტიფიცირება. - დოკუმენტაცია ქვეყნის/რეგიონის/თემის იდენტიფიცირებული პრიორიტეტების და დაინტერესებული მხარეების მოლოდინების შესახებ.
შემოწმების მიდგომა	<ul style="list-style-type: none"> - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში ნამდვილად იყვნენ ჩართული დაინტერესებული მხარეები; - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტების და დაინტერესებული მხარეების მოლოდინები სანდო საშუალებებით/მიდგომებითაა იდენტიფიცირებული და უზრუნველყოფდა დაინტერესებულ მხარეთა ფართო წრის ჩართულობას იდენტიფიცირების პროცესში; - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებმა და დაინტერესებულ მხარეთა მოლოდინებმა, დაწესებულების მანდატის გათვალისწინებით, ასახვა პოვნა დაწესებულების სტრატეგიულ გეგმაში.
ინტერვიუ	დაინტერესებულ მხარეებთან, მათი ჩართულობის გადასამოწმებლად


ინდიკატორი	3. დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.
შემოწმების ობიექტი	
შემოწმების საგანი	სტრატეგიული განვითარების გეგმა, სამოქმედო გეგმა
მტკიცებულება	<ul style="list-style-type: none"> - უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ დამტკიცებული სტრატეგიული განვითარების გეგმა (შვიდწლიანი), სამოქმედო გეგმა (ერთწლიანი);
შემოწმების მიდგომა	<ul style="list-style-type: none"> - ინდიკატორი ერთგვარად იძლევა მითითებას სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების სტრუქტურის თაობაზე. შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები სტრუქტურულად მოიცავენ ინდიკატორით გათვალისწინებულ ყველა კომპონენტს; - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ სტრატეგიული მიზნები მისიასთანაა შესაბამისობაში; - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ სტრატეგიული ამოცანები სტრატეგიულ მიზნების მიღწევას ემსახურება. - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ შესრულების ინდიკატორები ნამდვილად ზომავს სტრატეგიული ამოცანების მიღწევას; - შემფასებლები უნდა გაუჩნდეთ განცდა, რომ წლიურ გეგმაში არსებული აქტივობები დროში მიღწევა და რესურსებით უზრუნველყოფა მეტნაკლებად რეალისტურია.
ინტერვიუ	არა

კრიტერიუმი: 1.2.2. პსდ-ში მოქმედებს გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორი	1. პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
შემოწმების ობიექტი	
შემოწმების საგანი	სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის და შეფასების პროცესი
მტკიცებულება	<ul style="list-style-type: none"> - სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის დოკუმენტი; - სტრატეგიული განვითარების გეგმის შეფასების პროცესის ამსახველი დოკუმენტები (მაგალითად: კომისია, მათი ოქმები, გადაწყვეტილებები, მტკიცებულებები, რასაც დაეყრდნენ შეფასების განხორციელებისას, როგორცაა წლიური ანგარიშები, ინტერვიუ და სხვა); - წლიური სამოქმედო გეგმების მონიტორინგის პროცესის ამსახველი მტკიცებულებები (მაგალითად: მონიტორინგის განხორციელების პლატფორმა ან არსებული სისტემა, მონიტორინგის დასკვნები, მონიტორინგისას გამოყენებული

	მტკიცებულებები, ანგარიშები, დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის უზრუნველყოფის მექანიზმები, მაგალითად, კითხვარები, კვლევები და სხვა);
შემოწმების მიდგომა	<ul style="list-style-type: none"> - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ სტრატეგიული გეგმის შეფასება განხორციელდა მეთოდოლოგიით დადგენილი წესით და განსაზღვრული ვადებში; - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ სამოქმედო გეგმების მონიტორინგი ხორციელდება მეთოდოლოგიით დადგენილი წესით და განსაზღვრულ ვადებში; - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ მონიტორინგის პროცესში გათვალისწინებული იყო დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირი; - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ დაინტერესებული მხარეები ამოცანების ან/და აქტივობების კონტექსტში სწორად იქნენ შერჩეულნი; - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ მონიტორინგის და შეფასების პროცესი ეფუძნება შესაბამის მტკიცებულებებს.
ინტერვიუ	დაინტერესებულ მხარეებთან, მათი მხრიდან უკუკავშირის უზრუნველყოფის გადასამოწმებლად;


ინდიკატორი	2. პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე;
შემოწმების ობიექტი	
შემოწმების საგანი	შეფასების შედეგებზე რეაგირების პროცესი
მტკიცებულება	<ul style="list-style-type: none"> - მტკიცებულებები, რითაც დასტურდება, რომ დაწესებულების მენეჯმენტმა შეფასების შედეგების მიხედვით განახორციელა ადეკვატური რეაგირება: განხილვის ოქმები, სიუჟეტები, ნიუსები, სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების მიხედვით წარმატებულ პასუხისმგებელ პირთა წახალისება, გულგრილობით გამოწვეული წარუმატებელი პასუხისმგებელი პირებისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება, აქტივობების ამოღება გეგმიდან ან გადავადება, პროფესიული განვითარების, ინფრასტრუქტურის განვითარების ან პროექტების დაგეგმვა სხვა ადეკვატური გადაწყვეტილებები. - შესაბამისობის ან/და განვითარების გეგმები.
შემოწმების მიდგომა	<ul style="list-style-type: none"> - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემოწმებას მოჰყვა მენეჯმენტის მხრიდან რეაგირება, ეს რეაგირება ეფუძნება მტკიცებულებებს და ადეკვატურია.
ინტერვიუ	პასუხისმგებელ პირებთან და მენეჯმენტთან რეაგირების ფაქტების გადასამოწმებლად.

ინდიკატორი	3. სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია
შემოწმების ობიექტი	
შემოწმების საგანი	წლიური ანგარიშების საჯაროობის უზრუნველყოფის პროცესი
მტკიცებულება	<ul style="list-style-type: none"> - ბმულები ინტერნეტ სივრცეში, სადაც განთავსებულია წლიური ანგარიშ/ებ/ი; - წლიური ანგარიშების დაინტერესებული მხარეებისათვის გაცნობის მტკიცებულებები (შეხვედრა, საჯარო განხილვა ან გაგზავნილი კორესპონდენცია)
შემოწმების მიდგომა	<ul style="list-style-type: none"> - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ წლიური ანგარიშები ნებისმიერ დროს, თავისუფალი წვდომის რეჟიმშია ხელმისაწვდომი დაინტერესებული მხარეებისათვის.
ინტერვიუ	საჯაროობაზე პასუხისმგებელ პირებთან და დაინტერესებულ მხარეებთან, წლიური ანგარიშების ხელმისაწვდომობის თაობაზე


სტანდარტი 2. საგანმანათლებლო პროგრამები

კომპონენტი 2.1. საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება


კრიტერიუმი 2.1.1. პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად


ინდიკატორი	1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
შემოწმების ობიექტი	
შემოწმების საგანი	პროგრამის განხორციელების გადაწყვეტილების ამსახველი დოკუმენტი
მტკიცებულება	<ul style="list-style-type: none"> - წერილობითი დასაბუთება პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის თაობაზე (ინიციატივა, კოლეგიალური ორგანოს სხდომის ოქმი, რომელზეც განხილულ იქნა ინიციატივა, კვლევის ან გამოკითხვის შედეგები, რეგიონული ან დარგობრივი სტრატეგიებიდან ამონარიდები, შეხვედრების ოქმები ან სიუჟეტები, მიმოწერები დამსაქმებლებთან, ადგილობრივ თვითმმართველობასთან, დარგობრივ მარგულირებელ უწყებებთან, დარგის ექსპერტებთან რაც ადასტურებს მოცემულ ტერიტორიულ ერთეულში ან/და მოცემული პროფილის მქონე დაწესებულების მიერ ამ კონკრეტული პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობას).
შემოწმების მიდგომა	<ul style="list-style-type: none"> - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ დაწესებულებამ გადაწყვეტილება პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის თაობაზე მიიღო მტკიცებულებებზე დაყრდნობით, რაც წარმოდგენილია სათანადო, გასაგებად არგუმენტირებული წერილობითი დასაბუთების გზით; - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ დაწესებულების გადაწყვეტილება პროგრამის განხორციელების თაობაზე წინააღმდეგობაში არ მოდის მის მისიასთან, ასევე გამომდინარეობს სტრატეგიული განვითარების გეგმიდან (პროგრამ/ებ/ის შემუშავება/განვითარება/დამატება/ავტორიზება - გათვალისწინებულია შესაბამისი წლის მიზნებსა თუ ამოცანებში).
ინტერვიუ	არა


ინდიკატორი	2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
შემოწმების ობიექტი	 
შემოწმების საგანი	პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები
მტკიცებულება	<ul style="list-style-type: none"> - დოკუმენტი, რომლითაც განსაზღვრულია ამ პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (შესაძლოა იყოს თვითონ პროგრამა); - დოკუმენტი, რომლითაც განსაზღვრულია ამ პროგრამაზე ჩარიცხვის წესი; - აპლიკანტის შერჩევის ინსტრუმენტები (ტესტები, პრაქტიკული დავალებები და სხვა); - შერჩევის კომისიის ოქმები, აპლიკანტთა ნაშრომები; - დადგენილი წესის მიხედვით შერჩევის პროცესის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტები.
შემოწმების მიდგომა	<ul style="list-style-type: none"> - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობები არ არის შესაბამისი საგანმანათლებლო სტანდარტით გათვალისწინებულზე ნაკლები; - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ პროგრამაზე ჩარიცხვის წესი შეესაბამება კანონმდებლობის მიმდინარე მოთხოვნებს; - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ პროგრამაზე ჩარიცხვის წესი სამართლიანი და გამჭვირვალე; - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ შერჩევის ინსტრუმენტი გამოყენებულია გააზრებულად და მიზანმიმართულად - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები ხორციელდება დაწესებულების მიერ განსაზღვრული წესის დაცვით.
ინტერვიუ	პროფესიულ სტუდენტებთან და შესარჩევი კომისიის/ჯგუფის წევრებთან/შემფასებლებთან, დადგენილი პროცედურების დაცვისა და ინსტრუმენტის დანიშნულების თაობაზე


ინდიკატორი	3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
შემოწმების ობიექტი	
შემოწმების საგანი	პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის დოკუმენტი, ასევე კონკრეტულ პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრული ოდენობის შესაბამისობა მეთოდოლოგიასთან
მტკიცებულება	<ul style="list-style-type: none"> - პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, დაწესებულების რესურსებს და არსებობის შემთხვევაში, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პარტნიორი დაწესებულებების შესაძლებლობებს; - კონკრეტულ პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრული ოდენობის დასაბუთება, საჭიროების შემთხვევაში- შესაბამისი კალკულაცია; - მემორანდუმები, ხოლო კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში-ხელშეკრულებები პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პარტნიორ დაწესებულებებთან.
შემოწმების მიდგომა	<ul style="list-style-type: none"> - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, დაწესებულების რესურსებს და არსებობის შემთხვევაში, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პარტნიორი დაწესებულებების შესაძლებლობებს; - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრული ოდენობის დასაბუთება შეესაბამება ზოგად მეთოდოლოგიას და რეალისტურია სხვა ავტორიზებული პროგრამების განხორციელების გათვალისწინებით.
ინტერვიუ	ზღვრული ოდენობის განსაზღვრაში ჩართულ პირებთან, მათ მიერ სამუშაო პროცესში მეთოდოლოგიის დაცვის უზრუნველსაყოფად. პარტნიორი დაწესებულებების წარმომადგენლებთან- მემორანდუმის/ხელშეკრულების გაფორმების პროცესში მათი რეალური შესაძლებლობების გათვალისწინების გადასამოწმებლად.

ინდიკატორი	4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
შემოწმების ობიექტი	
შემოწმების საგანი	პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსების და საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი, მათი ადეკვატურობა
მტკიცებულება	<ul style="list-style-type: none"> - პროგრამის განხორციელებისათვის განსაზღვრული მატერიალური რესურსის ჩამონათვალი(სპეციალური ფორმა); - პროგრამის განხორციელებაში გამოყენებული საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი; - პროგრამის განმახორციელებელი პირების კვლევა რესურსების შესაბამისობასთან დაკავშირებით; - სტუდენტთა კვლევა რესურსების შესაბამისობასთან დაკავშირებით.
შემოწმების მიდგომა	<ul style="list-style-type: none"> - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ პროგრამით განსაზღვრული მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსები, (რომელიც ასევე შესაძლოა განსხვავდებოდეს საგანმანათლებლო სტანდარტით დადგენილი სარეკომენდაციო ნუსხისაგან), რელევანტურია პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად; - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ პროგრამის განმახორციელებლებს და სტუდენტებს ჰქონდათ მატერიალურ და საგანმანათლებლო რესურსებთან დაკავშირებით უკუკავშირის განხორციელების შესაძლებლობა და თვლიან, რომ რესურსები ადეკვატურია სწავლის შედეგების მისაღწევად.
ინტერვიუ	პროგრამის ხელმძღვანელთან/განმახორციელებლებთან რესურსების შერჩევაში მათი მონაწილეობის შესახებ და პროფესიულ სტუდენტებთან რესურსების შესაბამისობის კვლევაში მათი ჩართულობის თაობაზე.

ინდიკატორი	5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
შემოწმების ობიექტი	
შემოწმების საგანი	არჩევითი მოდულები
მტკიცებულება	<ul style="list-style-type: none"> - საგანმანათლებლო პროგრამა; - ინიციატივა, ოქმი, სამსახურებრივი ბარათი, განმარტება ან სხვა სახის დოკუმენტირებული დასაბუთება არჩევითი მოდულების პროგრამაში შეტანის მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით; - კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კვლევის შედეგები, არჩევითი მოდულების ფარგლებში მიღებული სწავლის შედეგების რელევანტურობის კონტექსტში.
შემოწმების მიდგომა	<ul style="list-style-type: none"> - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ პროგრამით განსაზღვრული არჩევითი მოდულები ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
ინტერვიუ	არა


ინდიკატორი	6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.
შემოწმების ობიექტი	
შემოწმების საგანი	პროგრამის დამტკიცების აქტი
მტკიცებულება	<ul style="list-style-type: none"> - პროგრამის დამტკიცების აქტი; - დოკუმენტი, რომლითაც განსაზღვრულია დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირი/ორგანო; - სხვა შემთხვევაში, დამტკიცების აქტზე ხელმომწერის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.
შემოწმების მიდგომა	<ul style="list-style-type: none"> - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, დამტკიცების აქტზე ხელმომწერი უფლებამოსილი იყო დაემტკიცებინა პროგრამა.
ინტერვიუ	არა


ინდიკატორი	7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
შემოწმების ობიექტი	
შემოწმების საგანი	პროგრამის სახელწოდება
მტკიცებულება	<ul style="list-style-type: none"> - საგანმანათლებლო პროგრამა; - თუ სახელი არ ემთხვევა მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირებას, ინიციატივა, ოქმი, სამსახურებრივი ბარათი, განმარტება ან სხვა სახის დოკუმენტირებული დასაბუთება სახელწოდების ცვლილების მიზანშეწონილობის და მისი ადეკვატურობის თაობაზე.
შემოწმების მიდგომა	<ul style="list-style-type: none"> - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამით გათვალისწინებულ კვალიფიკაციას.
ინტერვიუ	არა


ინდიკატორი	8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.
შემოწმების ობიექტი	
შემოწმების საგანი	საგანმანათლებლო პროგრამა
მტკიცებულება	<ul style="list-style-type: none"> - საგანმანათლებლო პროგრამა.
შემოწმების მიდგომა	<ul style="list-style-type: none"> - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებული ყველა იმ საკანონმდებლო აქტების მოთხოვნა, რომელიც პროგრამის შემუშავებას უდევს საფუძვლად; - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ პროგრამის შემუშავებისას დაცულია დაწესებულების მიერ დადგენილი მოთხოვნები პროგრამის სტრუქტურის/ფორმის/დანართების განსაზღვრასთან დაკავშირებით; - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ პროგრამის მთლიანობა იმგვარია, რომ გამორიცხავს ჩარჩო დოკუმენტით/საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრული ან პროგრამის სპეციფიკისთვის მნიშვნელოვანი ნაწილების უგულებელყოფას.
ინტერვიუ	არა

კომპონენტი 2.2. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

კრიტერიუმი 2.2.1. პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

ინდიკატორი	1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
შემოწმების ობიექტი	
შემოწმების საგანი	მატერიალური რესურსების არსებობა და მათი ხელმისაწვდომობა სასწავლო პროცესში
მტკიცებულება	<ul style="list-style-type: none"> - პსდ-ს მიერ შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ; - მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; - სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მიერ გამოხატული ნება კონკრეტული მატერიალური რესურსის სასწავლო მიზნებისათვის გამოყენების თაობაზე; - ინფორმაცია რეგულირების სააგენტოდან, საექთნო განათლების პროგრამის ფარგლებში კლინიკური პრაქტიკის განმხორციელებელი კლინიკების მიერ პროფესიული საქმიანობის ლიცენზიების არსებობის თაობაზე; - ფაქტობრივი ფლობის მტკიცებულება (შესაბამისი ინვენტარითა და აღჭურვილობით მოწყობილი სასწავლო გარემო); - მასწავლებლების და სტუდენტების გამოკითხვის შედეგები რესურსებზე წვდომის კონტექსტში.
შემოწმების მიდგომა	<ul style="list-style-type: none"> - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსი ფიზიკურად არსებობს პროგრამის განხორციელების ადგილზე. - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ საწარმო/პრაქტიკის ობიექტი თანახმაა მის ხელთ არსებული რესურსები გამოიყენოს სწავლების მიზნებისათვის. - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ რესურსები რეალურად გამოიყენება. - გადამოწმება ემისის ბაზებში სასწავლო საწარმოების/პრაქტიკის ობიექტების სხვადასხვა განმხორციელებლის მიერ გამოყენების თაობაზე. - ინფორმაციის გადამოწმება რეგულირების სააგენტოში, საექთნო განათლების პროგრამის ფარგლებში კლინიკური პრაქტიკის განმხორციელებელი კლინიკების მიერ პროფესიული საქმიანობის ლიცენზიების არსებობის თაობაზე.
ინტერვიუ	ინტერვიუ სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლებთან (თუ მათი რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში), მოდულის განმხორციელებლებთან და სტუდენტებთან, რათა დაზრწმუნდეთ, რომ პროგრამაში მითითებული მატერიალური რესურსები ნამდვილად ხელმისაწვდომია მათთვის სასწავლო პროცესში.


ინდიკატორი	2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
შემოწმების ობიექტი	
შემოწმების საგანი	პროფესიული განათლების მასწავლებლების ოდენობა და დატვირთვის დაანგარიშების შედეგები
მტკიცებულება	<ul style="list-style-type: none"> - პსდ-ს მიერ შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ; - მასწავლებელთა დატვირთვის ფორმები, რომელშიც მითითებულია მასწავლებელთა დატვირთვა კვირების მიხედვით, სასწავლო გეგმების შესაბამისად, გაერთიანებული ფორმა სხვადასხვა პროგრამის მიზნებისათვის თუ მასწავლებელი სხვადასხვა პროგრამებზე ასწავლის.
შემოწმების მიდგომა	<ul style="list-style-type: none"> - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვა კვირაში არ აღემატება შრომის კანონმდებლობით დადგენილ ნორმას (კანონმდებლობის გამონაკლისების გათვალისწინებით). - გადამოწმება ემისის ბაზებში, ერთი და იმავე მასწავლებლების სხვა სასწავლებლების მიერ დასაქმების თაობაზე.
ინტერვიუ	არა


ინდიკატორი	3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
შემოწმების ობიექტი	
შემოწმების საგანი	პროფესიული განათლების მასწავლებლები
მტკიცებულება	<ul style="list-style-type: none"> - პსდ-ს მიერ შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ; - დოკუმენტი, რითაც დაწესებულება განსაზღვრავს პროფესიული განათლების მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან პირის შესაბამისობის დამადასტურებელ მტკიცებულებ/ებ/ს; - მტკიცებულებები, რომლითაც დასტურდება პირის პროფესიული განათლების მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობა; - მასწავლებელთა თვითშეფასების კითხვარები; - პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვის კითხვარები, მასწავლებელთა შეფასების ნაწილში; - მასწავლებელთა შეფასების სხვა ინსტრუმენტები (პროგრამის ხელმძღვანელის მიერ, კოლეგების მიერ და სხვა);

შემოწმების მიდგომა	<ul style="list-style-type: none"> - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლების კომპეტენციები მოწმდება დაწესებულების მიერ, როგორც მათი მიღების დროს, ისე მუშაობის პროცესში, კანონმდებლობის შესაბამისად; - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ პროგრამის ყველა მასწავლებელი აკმაყოფილებს ინდიკატორის პირობებს და ეს გამყარებულია მათი პირადი საქმით.
ინტერვიუ	მასწავლებლებთან; სხვა შემფასებლებთან (პროფესიული სტუდენტი, კოლეგა, პროგრამის ხელმძღვანელი), მათი შეფასებაში რეალური მონაწილეობის დასადგენად.

ინდიკატორი	4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
შემოწმების ობიექტი	
შემოწმების საგანი	პროგრამის ხელმძღვანელი და მის მიერ ფუნქციების შესრულების პროცესი
მტკიცებულება	<ul style="list-style-type: none"> - პროგრამის ხელმძღვანელის დანიშვნის აქტი; - პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე; - პროგრამის ხელმძღვანელისთვის განსაზღვრული ფუნქციები; - შიდა მიმოწერა, ანგარიშები, შეხვედრების ჩანაწერები, ინიციატივა ან/და სხვა სახის დოკუმენტაცია, რაც ადასტურებს პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ხელმძღვანელობითი ფუნქციების შესრულების ფაქტს; - დოკუმენტი, რომლითაც დაწესებულება განსაზღვრავს პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან პირის შესაბამისობის დამადასტურებელ მტკიცებულებ/ებ/ს; - მტკიცებულებები, რომლითაც დასტურდება პირის პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობა.
შემოწმების მიდგომა	<ul style="list-style-type: none"> - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ პროგრამის ხელმძღვანელს აქვს დარგობრივი კომპეტენცია; - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ პროგრამის ხელმძღვანელი აღჭურვილია ხელმძღვანელობითი ფუნქციებით; - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ პროგრამის ხელმძღვანელი ნამდვილად ასრულებს ხელმძღვანელობითი ფუნქციებს.
ინტერვიუ	პროგრამის ხელმძღვანელთან, ასევე პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, რათა გადამოწმდეს ხელმძღვანელის მიერ ხელმძღვანელობითი ფუნქციების შესრულების ფაქტი.


ინდიკატორი	5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
შემოწმების ობიექტი	
შემოწმების საგანი	საგანმანათლებლო რესურსის ხელმისაწვდომობის მექანიზმები და პროცესი
მტკიცებულება	<ul style="list-style-type: none"> - საგანმანათლებლო რესურსის ხელმისაწვდომობის უზრუნველმყოფი რეგულაცია; - ბიბლიოთეკის კატალოგი; - რესურსების გამოყენების აღრიცხვიანობა ბიბლიოთეკარის მიერ; - პროფესიული განათლების მასწავლებელთა და პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები, საგანმანათლებლო რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებით.
შემოწმების მიდგომა	<ul style="list-style-type: none"> - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი იძებნება ბიბლიოთეკის კატალოგში; - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია პროფესიული განათლების მასწავლებლების და პროფესიული სტუდენტებისათვის; - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ნამდვილად გამოიყენება სასწავლო პროცესში; - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსისგან განსხვავებული რესურსის საჭიროების/გამოყენების შემთხვევაში, დადგენილია და მოქმედებს წესი, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია/ხდება ცვლილებების განხორციელება.
ინტერვიუ	<p>პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან რათა დავრწმუნდეთ, რომ:</p> <ul style="list-style-type: none"> - ისინი სწორედ იმ რესურსებს იყენებენ, რომლებიც მოდულებშია მითითებული.

ინდიკატორი	6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
შემოწმების ობიექტი	
შემოწმების საგანი	სასწავლო რესურსის ხელმისაწვდომობის მექანიზმები და პროცესი
მტკიცებულება	<ul style="list-style-type: none"> - ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფი რეგულაცია; - ინდგეგმები; - ადაპტირებული სასწავლო რესურსები (საჭიროების შემთხვევაში); - ადაპტირებული საგანმანათლებლო რესურსების რეესტრი; - მასწავლებელთა და სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები, სასწავლო რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებით.
შემოწმების მიდგომა	<ul style="list-style-type: none"> - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ პროგრამაში/ინდგეგმაში მითითებული სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომია მასწავლებლების და სსსმ სტუდენტებისათვის; - ადაპტირებული რესურსების არსებობა.
ინტერვიუ	მასწავლებელთა და სსსმ სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა გამოკითხვა, რათა დავრწმუნდეთ, რომ: <ul style="list-style-type: none"> - მათთვის ხელმისაწვდომია/იყო სასწავლო ადაპტირებული, საჭიროების შემთხვევაში) რესურსები.

ინდიკატორი	7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.
შემოწმების ობიექტი	
შემოწმების საგანი	პროგრამის ბიუჯეტი
მტკიცებულება	<ul style="list-style-type: none"> - პროგრამის პირველადი ბიუჯეტი; - პროგრამის კორექტირებული ბიუჯეტი.
შემოწმების მიდგომა	<ul style="list-style-type: none"> - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ პროგრამის ბიუჯეტი აგებულია სტუდენტთა მინიმალურ შესაძლო ოდენობაზე და ითვალისწინებს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს; - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ პროგრამის შემოსავლები ანაზღაურებენ მის განხორციელებასთან დაკავშირებულ ხარჯებს; - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ პროგრამის ყოველი ციკლის დასრულებისას ხდება პროგრამის ბიუჯეტის კორექტირება, რეალურ მონაცემებზე დაყრდნობით.
ინტერვიუ	არა


კომპონენტი 2.3. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება


კრიტერიუმი 2.3.1. პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით


ინდიკატორი	1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვა.
შემოწმების ობიექტი	
შემოწმების საგანი	პროგრამის შეფასების მექანიზმები და პროცესი
მტკიცებულება	<ul style="list-style-type: none"> - საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია; - პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები (სისტემის მოდელი: დაგეგმვა-განხორციელება-შეფასება-გადახედვა/გაუმჯობესება ან სხვა ალტერნატივა); - პსდ-ს მიერ ჩატარებული კვლევის ინსტრუმენტები და შედეგები (მათ შორის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შექმნილი უნარებით/კომპეტენციებით პროფესიული სტუდენტებისა და დამსაქმებლების კმაყოფილების მაჩვენებელი, კურსდამთავრებულთა დასაქმების კვლევის მაჩვენებელი; პროფესიულ სტუდენტთა რეგისტრაციის, ჩარიცხვის, კვალიფიკაციის მინიჭების, სტატუსის შეჩერება/შეწყვეტის, მობილობის სტატისტიკის ანალიზი, ჩარიცხული პირების რაოდენობა ასაკისა და სქესის მიხედვით, რომლებიც მოწყვლად ჯგუფებს განეკუთვნებიან, მათი წარმატების მაჩვენებელი ასაკისა და სქესის მიხედვით).
შემოწმების მიდგომა	<ul style="list-style-type: none"> - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ არსებული მექანიზმები ნამდვილად უზრუნველყოფს პროგრამის ხარისხის ობიექტურ შეფასებას პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით; - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ ჩატარებული კვლევები ეფუძნება რეალისტურ პირველად მონაცემებს და ინფორმაციის წყაროებს; - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ ჩატარებული კვლევები განხორციელებულია დაწესებულებაში დადგენილი მეთოდოლოგიის გამოყენებით და დასკვნების სანდოობა კითხვის ნიშნის ქვეშ არ დგას.
ინტერვიუ	ხარისხის მენეჯერთან, პროცესების მიმდინარეობის თაობაზე. ინტერვიუებთან, მათი პროცესში მონაწილეობის დადასტურების თაობაზე.



ინდიკატორი	2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.
შემოწმების ობიექტი	
შემოწმების საგანი	პროგრამების გაუმჯობესების რეგულაცია და პროცესი
მტკიცებულება	<ul style="list-style-type: none"> - საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესები; - საგანმანათლებლო სტანდარტში ცვლილების/გაუქმების ინიცირების კორესპონდენცია; - პროგრამებში განხორციელებული ცვლილებების/პროგრამის გაუქმების შესახებ გამოცემული აქტები; - შიდა ხარისხის სამსახურის/მენეჯერის დასკვნები და რეკომენდაციები; - შესაბამისობის ან/და განვითარების გეგმები; - განხორციელებული აქტივობები პროგრამის განმხორციელებელი ადამიანური და განხორციელების მატერიალური რესურსების, სწავლების და შეფასების მეთოდების და სხვა ცვლილებების თაობაზე (რესურსების განახლების, შეძენის მტკიცებულებები, მასწავლებელთა გადამზადების მტკიცებულებები და სხვა).
შემოწმების მიდგომა	<ul style="list-style-type: none"> - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ საგანმანათლებლო სტანდარტებში და პროგრამებში ცვლილებების ან მათი გაუქმების ინიცირებები ეფუძნება პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს. - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ ცვლილებების საჭიროება არ დამდგარა პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგების მიხედვით. - სხვა პროვაიდერების მიერ საგანმანათლებლო სტანდარტებში ცვლილებების ინიციატივების გადამოწმება ცენტრში.
ინტერვიუ	ხარისხის მენეჯერთან, პროცესის მიმდინარეობის თაობაზე.

კომპონენტი 2.4. სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება
 კრიტერიუმი 2.4.1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას


ინდიკატორი	1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
შემოწმების ობიექტი	
შემოწმების საგანი	სასწავლო პროცესის დაგეგმვა
მტკიცებულება	- მეცადინეობის ცხრილები.
შემოწმების მიდგომა	- შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ პროგრამები სრულფასოვნად ხორციელდება და მეცადინეობის განრიგი დგება სასწავლო გეგმების შესაბამისად;
ინტერვიუ	ინტერვიუ სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელ პირებთან, მასწავლებლებთან და სტუდენტებთან, რათა დარწმუნდნენ, რომ მეცადინეობები, ძირითადად ნამდვილად დაგეგმილი განრიგების მიხედვით ხორციელდება.

ინდიკატორი	2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
შემოწმების ობიექტი	
შემოწმების საგანი	სასწავლო პროცესი
მტკიცებულება	- მტკიცებულებები, რომლითაც დასტურდება პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინება ან მოქნილი რეაგირება შემხვედრ საჭიროებებზე (სტუდენტთა მიმართვები საჭიროებების შესახებ, დაწესებულების რეაგირება, წერილი, გადაწყვეტილება, რომელიც ადასტურებს შემხვედრი ნაბიჯების გადადგმას. პანდემიის დროს განხორციელებული ცვლილებები პროგრამებში, მეცადინეობის განრიგში, სასწავლო გეგმებში, სწავლება-შეფასების მეთოდებში, მასწავლებელთა ან/და სტუდენტთა დისტანციური სწავლების მიზნებისათვის გადამზადების ან სპეციალური პლატფორმების შექმნის/უზრუნველყოფის მტკიცებულებები)
შემოწმების მიდგომა	- შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ დაწესებულება მოქნილია გადაწყვეტილებების მიღებაში, რაც პროგრამების შედლებისდაგვარად შეუფერხებელ განხორციელებას ემსახურება როგორც ცალკეული სტუდენტისათვის, ისე მთელი ჯგუფისათვის.
ინტერვიუ	სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელ პირებთან, მასწავლებლებთან და სტუდენტებთან, სასწავლო პროცესში მათ საჭიროებების შეძლებისდაგვარად გათვალისწინების შესახებ.


ინდიკატორი	3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
შემოწმების ობიექტი	
შემოწმების საგანი	სასწავლო პროცესი
მტკიცებულება	<ul style="list-style-type: none"> - მტკიცებულებები, რომელიც ადასტურებს, რომ სწავლების პროცესში გამოყენებული მეთოდები და ტექნოლოგიები ნამდვილად შეესაბამება დარგის თანამედროვე მოთხოვნებს (დამსაქმებელთა უკუკავშირი, კომენტარები, პროგრამის ხელმძღვანელის ან მასწავლებლების მიერ განხორციელებული ინიციატივები თანამედროვე ტენდენციებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის კუთხით, პრაქტიკის განმახორციელებლის ან სასწავლო საწარმოს გამოკითხვის შედეგები ან საკოორდინაციო შეხვედრის ოქმები, დამსაქმებელთა და დასაქმებულთა გამოკითხვის შედეგები კოლეჯში მიწოდებული თეორიული კომპონენტის ან გამომუშავებული პრაქტიკული უნარების თანამედროვე ტენდენციებთან შესაბამისობის თაობაზე, მოწვეულ დარგის ექსპერტთა დასკვნა და სხვა). მოწვეული დარგის სპეციალისტებთან შეხვედრები სიახლეების გაცნობის/დანერგვის შესახებ?
შემოწმების მიდგომა	<ul style="list-style-type: none"> - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ დაწესებულება თვალყურს ადევნებს დარგის განვითარებას და რეაგირებს შესაბამის ცვლილებებზე.
ინტერვიუ	პროგრამის ხელმძღვანელთან, მასწავლებლებთან, პროგრამის კურსდამთავრებულის დამსაქმებლებთან, დასაქმებულ კურსდამთავრებულთან ან/და პროგრამის თანაგანმახორციელებლებთან.

ინდიკატორი	4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
შემოწმების ობიექტი	 
შემოწმების საგანი	სსსმ პირთა მომსახურების რეგულაცია და პრაქტიკა
მტკიცებულება	<ul style="list-style-type: none"> - სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია; - ინდგემები (არსებობის შემთხვევაში); - მტკიცებულებები გაწეული მომსახურების თაობაზე; - პროფორიენტაციის ხასიათის შეხვედრების/კონსულტირების გაწევის ოქმები; - სსსმ პირთა უკუკავშირი გაწეული სერვისების თაობაზე; - სსსმ პირთა მომსახურების გაუმჯობესების შესახებ მტკიცებულებები (სპეციალური მასწავლებელთა აყვანა, ქესტური ენის თარჯიმნის აყვანა, პერსონალის გადამზადება, სხვა დამატებითი სერვისები).


	<ul style="list-style-type: none"> - ფორმალური განათლების აღიარების რეგულაცია; - ფორმალური განათლების აღიარების პრაქტიკასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია. - არაფორმალური განათლების აღიარების რეგულაცია და არაფორმალური განათლების აღიარების კონსულტანტის სერტიფიკატი და გაფორმებული კონტრაქტი/მომსახურების ხელშეკრულება (ასეთი უფლების მოპოვების შემთხვევაში); - არაფორმალური განათლების აღიარების პრაქტიკასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია (ასეთი უფლების არსებობის შემთხვევაში) .
შემოწმების მიდგომა	- შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ არსებობს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებებზე რეაგირების კანონმდებლობით დადგენილი ინსტრუმენტები და პრაქტიკა.
ინტერვიუ	სსსმ პირთა სერვისებზე პასუხისმგებელ პირებთან, ასევე განსაზღვრული სერვისით მოსარგებლე/სსსმ პირებთან სერვისების ხელმისაწვდომობის თაობაზე.


ინდიკატორი	5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
შემოწმების ობიექტი	
შემოწმების საგანი	პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან არსებული ხელშეკრულებები/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები;
მტკიცებულება	- პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან არსებული ხელშეკრულებები/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები;
შემოწმების მიდგომა	<ul style="list-style-type: none"> - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან არსებული ხელშეკრულებები/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები დადებულია არანაკლებ ავტორიზაციის ვადით; - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან არსებული ხელშეკრულებები/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების შინაარსი, პასუხისმგებლობები და ვალდებულებები ცნობილია მხარეებისათვის; - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან არსებული ხელშეკრულებები/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები ზუსტად განსაზღვრავს თანამშრომლობის



	<p>საგანს და მხარეთა ვალდებულებებს, მათ შორის სტუდენტთა საერთო რაოდენობებს, რომლებსაც ერთდროულად გაუწევენ მომსახურებას, ასევე კანონმდებლობით დადგენილ სხვა საკითხებს.</p> <ul style="list-style-type: none"> - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელი პარტნიორები/სასწავლო საწარმოები/თანაგანმახორციელებლები ფლობენ შესაბამისი საქმიანობის ლიცენზიებს ან ნებართვებს, რაშიც თანამშრომლობენ დაწესებულებასთან (კანონმდებლობით ასეთი მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში); - ინფორმაციის გადამოწმება შესაბამისი მარეგულირებლების რეესტრში/სამეწარმეო რეესტრში/ემისის ბაზებში.
ინტერვიუ	პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოს/თანაგანმახორციელებელ დაწესებულების წარმომადგენლებთან თანამშრომლობის მიზნებისა და შედეგების შესახებ.



ინდიკატორი	6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.
შემოწმების ობიექტი	
შემოწმების საგანი	უსაფრთხოების რეგულაციები და უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესი
მტკიცებულება	<ul style="list-style-type: none"> - შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის დასკვნა დარგობრივ კონტექსტში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით შრომის უსაფრთხოების პირობების უზრუნველყოფის თაობაზე; - რისკები და რეაგირების გეგმა, ასეთის საჭიროების შემთხვევაში; - უსაფრთხოების საშუალებათა უზრუნველყოფის (შესყიდვის) მტკიცებულებები, ასეთის საჭიროების შემთხვევაში; - შესაბამისობის ან/და განვითარების გეგმები, ასეთის საჭიროების შემთხვევაში;
შემოწმების მიდგომა	- შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ გარდა ზოგადი უსაფრთხოებისა, დაცულია დამატებითი უსაფრთხოება დარგობრივი (პროგრამის) სპეციფიკის გათვალისწინებით, ასეთის საჭიროების შემთხვევაში;
ინტერვიუ	არა

კრიტერიუმი 2.4.2. შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

ინდიკატორი	1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
შემოწმების ობიექტი	
შემოწმების საგანი	შეფასების რეგულაცია და შეფასების პროცესი
მტკიცებულება	<ul style="list-style-type: none"> - რეგულაცია შეფასების სისტემის თაობაზე; - შეფასების ინსტრუმენტები; - შეფასების მტკიცებულებები.
შემოწმების მიდგომა	<ul style="list-style-type: none"> - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ შეფასების სისტემა მოიცავს და რეგულაცია არეგულირებს ყველა აუცილებელ კომპონენტთან დაკავშირებულ საკითხებს (პროცესი, ინსტრუმენტი, მტკიცებულება); - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ შეფასების პროცესი ხორციელდება რეგულაციის შესაბამისად; - არსებობის შემთხვევაში- შეფასების პროცესზე დასწრება.
ინტერვიუ	პროფესიულ სტუდენტებთან და შეფასებაზე პასუხისმგებელ პირებთან (არსებობის შემთხვევაში-კომისიებთან) პროცესის განხორციელების მიმდინარეობასთან დაკავშირებით.

ინდიკატორი	2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
შემოწმების ობიექტი	
შემოწმების საგანი	შიდა ვერიფიკაციის რეგულაცია და პროცესი
მტკიცებულება	<ul style="list-style-type: none"> - შიდა ვერიფიკაციის რეგულაცია; - შიდა ვერიფიკაციისათვის შეფასების შერჩევისათვის გამოყენებული/განსაზღვრული რისკების სისტემა და კრიტერიუმები; - შიდა ვერიფიკაციის დასკვნები/ანგარიშები; - შიდა ვერიფიკაციის შემდეგ განხორციელებული მოქმედებების ამსახველი დოკუმენტაცია; - შესაბამისობის ან გაუმჯობესების გეგმები.
შემოწმების მიდგომა	<ul style="list-style-type: none"> - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ შიდა ვერიფიკაცია ეხება შეფასების სისტემის ყველა კომპონენტს; - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ შიდა ვერიფიკაცია ხორციელდება რისკების სისტემაზე დაყრდნობით; - შიდავერიფიკაციაგავლილი შეფასებების შერჩევითი გარე ვერიფიკაცია.
ინტერვიუ	ხარისხის მენეჯერთან პროცესის მიმდინარეობის თაობაზე.


ინდიკატორი	3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
შემოწმების ობიექტი	 
შემოწმების საგანი	შეფასებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის განკარგვის რეგულაცია და პროცესი
მტკიცებულება	<ul style="list-style-type: none"> - შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების აღრიცხვის, შენახვის და განკარგვის რეგულაციები; - მტკიცებულებათა განკარგვის (შენახვის, დაარქივების, განადგურების) ოქმები/მოხსენებები/წერილები;
შემოწმების მიდგომა	<ul style="list-style-type: none"> - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ რეგულაცია შეესაბამება კანონმდებლობას; - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ დანერგილი პრაქტიკა შესაბამისობაშია შემუშავებულ რეგულაციასთან; - მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების განთავსების სისტემების/პროგრამული უზრუნველყოფის/ადგილების არსებობის გადამოწმება; - შეფასების მტკიცებულებების შერჩევითი დათვალიერება, მათი შენახვის 3 წლიანი ვადის დაცვის გადასამოწმებლად.
ინტერვიუ	შეფასებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შენახვა/განკარგვაზე პასუხისმგებელ პირებთან.

ინდიკატორი	4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.
შემოწმების ობიექტი	 
შემოწმების საგანი	შეფასების შედეგების სტუდენტთა განვითარებისთვის გამოყენების რეგულაცია და პრაქტიკა
მტკიცებულება	<ul style="list-style-type: none"> - შეფასების შედეგების სტუდენტებისათვის გაცნობის და უკუკავშირის მიცემის რეგულაცია; - შეფასების შედეგების ანალიზის დოკუმენტი; - შეფასების შედეგებზე რეაგირების მტკიცებულებები (რეკომენდაციები, დამატებითი მეცადინეობები, ცვლილებები მოდულებში, შეფასების ინსტრუმენტებში და სხვა)
შემოწმების მიდგომა	<ul style="list-style-type: none"> - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ შეფასების შედეგები სტუდენტებს ეცნობებათ ინდივიდუალურად, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით; - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ უკუკავშირი ემსახურება სტუდენტთა შემდგომ განვითარებას; - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ შეფასების შედეგების ანალიზი ემსახურება პროგრამის. სწავლების ან/ და შეფასების პროცესის შემდგომ განვითარებას;
ინტერვიუ	ინტერვიუ შემფასებლებთან და სტუდენტებთან, პროცესის მიმდინარეობის თაობაზე.

სტანდარტი 3. პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები


კომპონენტი 3.1. პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა


კრიტერიუმი 3.1.1. პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორი	1. პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;
შემოწმების ობიექტი	
შემოწმების საგანი	პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფი შიდა რეგულაციები
მტკიცებულება	<ul style="list-style-type: none"> - დაწესებულების შიდა რეგულაციები, რომლებშიც გაწერილია თუ რა მექანიზმებით უზრუნველყოფს დაწესებულება კანონმდებლობით პროფესიული სტუდენტისათვის მინიჭებული უფლებების დაცვას და ქმნის ამ უფლებების რეალიზების გარანტიებს (მაგ. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭება, შეჩერება, შეწყვეტა, აღდგენა, მობილობა, განმეორებითი შეფასება, გასაჩივრება, პროგრამის ცვლილების შემთხვევაში დასრულება, ოკუპირებულ ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ მიღებული განათლების აღიარება და წინმსწრები განათლების აღიარება, ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სარგებლობა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საინფორმაციო საშუალებებით, ბიბლიოთეკით და სხვა სასწავლო რესურსითა თუ სივრცეებით, სტუდენტური ორგანიზაციის დაფუძნება ან/და მასში გაერთიანება და სხვა). - სდ-სა და პროფესიულ სტუდენტს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუშები.
შემოწმების მიდგომა	<ul style="list-style-type: none"> - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ პროფესიული სტუდენტების უფლებებთან და გარანტიებთან დაკავშირებული შიდა რეგულაციები არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას; - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ პროფესიული სტუდენტების უფლებებთან და გარანტიებთან დაკავშირებული შიდა რეგულაციები ითვალისწინებენ მათთვის კანონმდებლობით მინიჭებულ ყველა უფლებას და გარანტიებს; - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ პროფესიული სტუდენტების სხვა დაინტერესებული პირებისთვის უფლებებთან და გარანტიებთან დაკავშირებული შიდა რეგულაციები ხელმისაწვდომია თავისუფალი წვდომის რეჟიმში; - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ არსებობს მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის/კანონიერი წარმომადგენლებისთვის უფლებების გაცნობას.
ინტერვიუ	არა


ინდიკატორი	2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;
------------	---

შემოწმების ობიექტი	
შემოწმების საგანი	პროფესიული სტუდენტების მიერ მათი უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის პრაქტიკა
მტკიცებულება	<ul style="list-style-type: none"> - პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის შედეგები; - სტუდენტის მიერ მისი უფლებების და ინტერესების დაცვის კონკრეტული შემთხვევები (სტუდენტის/კანონიერი წარმომადგენლის მიმართვა, წარმოების მასალები, მიღებული გადაწყვეტილებები); - კოლეჯის მიერ სტუდენტებისათვის, მათი უფლებების დაცვის მიზნით მიწერილი ცირკულარები პროგრამის ცვლილებებთან დაკავშირებით; - დაწესებულების მიერ პროფესიული სტუდენტებისთვის/კანონიერი წარმომადგენლებისთვის მათი უფლებების გაცნობის დამადასტურებელი ფაქტები - გაცნობაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის დოკუმენტი/ადმინისტრაციის წარმომადგენლის ფუნქცია-მოვალეობები, პროფესიული სტუდენტების ახალი ნაკადის დაწესებულების სივრცეში ინტეგრაციის მიდგომა რეგულაციების გაცნობის ნაწილში/ პრეზენტაცია/ ნიუსი/ გაცნობითი/საინფორმაციო ხასიათის შეხვედრაზე დასწრების ფურცელი და სხვა.
შემოწმების მიდგომა	<ul style="list-style-type: none"> - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ სტუდენტები იცნობენ (ან იციან სად უნდა გაეცნონ) მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს; - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ სტუდენტები იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს; - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ პროფესიული სტუდენტები მათი უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის სერვისებს იღებენ რეგულაციების შესაბამისად, გადაწყვეტილება ყოველთვის მიღებულია სტუდენტის საუკეთესო ინტერესების სასარგებლოდ, კანონმდებლობის ფარგლებში;
ინტერვიუ	მომსახურების გამწევი პირებთან/სტრუქტურული ერთეულებთან და პროფესიულ სტუდენტებთან, მათ მიერ საკუთარი უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმების გამოყენების თაობაზე.

ინდიკატორი	3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;
შემოწმების ობიექტი	
შემოწმების საგანი	პროფესიული სტუდენტებისთვის შეფასების სისტემის გაცნობის და მათ მიერ შეფასების შედეგების გასაჩივრების პრაქტიკა
მტკიცებულება	<ul style="list-style-type: none"> - პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის შედეგები; - შეფასების სისტემის ვერიფიკაციის შედეგები, სამართლიანობის ნაწილში; - პროფესიული სტუდენტის მიერ შეფასების შედეგების გასაჩივრების შემთხვევები (საჩივარი, წარმოების მასალები, მიღებული გადაწყვეტილებები);
შემოწმების მიდგომა	<ul style="list-style-type: none"> - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ პროფესიული სტუდენტები იცნობენ (ან იციან სად უნდა გაეცნონ) შეფასების სისტემას; - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ პროფესიული სტუდენტები იყენებენ შეფასების გასაჩივრების მექანიზმებს; - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ სტუდენტების საჩივრები განხილულია რეგულაციების შესაბამისად, გადაწყვეტილება ყოველთვის მიღებულია სტუდენტის საუკეთესო ინტერესების სასარგებლოდ, კანონმდებლობის ფარგლებში;
ინტერვიუ	ადმინისტრაციის უფლებამოსილ პირებთან და პროფესიულ სტუდენტებთან, შეფასების სისტემის და მათ მიერ შეფასების გასაჩივრების უფლების გამოყენების თაობაზე.


ინდიკატორი	4. პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;
შემოწმების ობიექტი	
შემოწმების საგანი	პროფესიულ სტუდენტებთან/მათ კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული სასწავლო ხელშეკრულებები
მტკიცებულება	<ul style="list-style-type: none"> - პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს/მის კანონიერ წარმომადგენლებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუშები; - სტუდენტის სტატუსის მინიჭების რეგულაცია ხელშეკრულების გაფორმების, მათ შორის არასრულწლოვანი პირების გაფორმების და მასში ცვლილების შეტანის ნაწილში (ხელშეკრულების გაფორმების ვადები, სპეციფიკა).
შემოწმების მიდგომა	<ul style="list-style-type: none"> - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ სასწავლო ხელშეკრულებები მოიცავენ ჩანაწერებს კანონმდებლობით და დაწესებულების რეგულაციით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების თაობაზე;


	<ul style="list-style-type: none"> - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ არასრულწლოვანებთან ხელშეკრულებები ფორმდება მათ კანონიერ წარმომადგენლებთან; - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ სასწავლო ხელშეკრულებები ფორმდება დაწესებულების მიერ დადგენილი წესის (პროცედურის) შესაბამისად; - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ საჭიროების შემთხვევაში ხელშეკრულებებში ცვლილებები შედის რეგულაციების შესაბამისად, გონივრულ ვადებში და პროცესში გათვალისწინებულია პროფესიული სტუდენტის საუკეთესო ინტერესები.
ინტერვიუ	არა

ინდიკატორი	5. პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
შემოწმების ობიექტი	
შემოწმების საგანი	ინდ. გეგმების შემუშავების რეგულაცია და პრაქტიკა
მტკიცებულება	<ul style="list-style-type: none"> - ინდ. სასწავლო გეგმების შემუშავების რეგულაცია; - პროფესიული სტუდენტისათვის შემუშავებული ინდ. სასწავლო გეგმა; - ინდ. გეგმის შემუშავების პროცესში სტუდენტის/კანონიერი წარმომადგენლის ჩართულობის დამადასტურებელი მიმოწერა, განხილვის ოქმი, ფორმალური თანხმობა და სხვა.
შემოწმების მიდგომა	<ul style="list-style-type: none"> - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ ინდ. გეგმები შემუშავებულია კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი რეგულაციების დაცვით; - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ ინდ. გეგმების შემუშავებაში ჩართულია პროფესიული სტუდენტი/მისი კანონიერი წარმომადგენელი, და პროცესი წარიმართება დაწესებულების მიერ დადგენილი წესით; - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ ინდ. გეგმის შემუშავებისას გათვალისწინებულია პროფესიული სტუდენტის საუკეთესო ინტერესები.
ინტერვიუ	ინდ. გეგმის შემუშავებელ ჯგუფთან, პროფესიულ სტუდენტთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან, რათა დარწმუნდეს, რომ პროცედურები წარიმართა კანონმდებლობის და პროფესიული სტუდენტის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით.


კომპონენტი 3.2. პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები


კრიტერიუმი 3.2.1. პსდ-ში ფუნქციონირებს პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორი	1. პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
შემოწმების ობიექტი	
შემოწმების საგანი	პროფესიული სტუდენტების მიერ აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად კონსულტაციებისა და მხარდაჭერის მიღების პრაქტიკა
მტკიცებულება	<ul style="list-style-type: none"> - კონსულტაციის და მხარდაჭერის გაწევაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულის/პერსონალის ფუნქციები; - პროფესიული სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის შედეგები; - ჩანაწერები, ოქმები და სხვა დოკუმენტები დაგეგმილი და/ან განხორციელებული საკონსულტაციო, მხარდამჭერი მომსახურების შესახებ;
შემოწმების მიდგომა	<ul style="list-style-type: none"> - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ დაწესებულებაში არსებობს სტრუქტურა/პირი, რომელიც პასუხისმგებელია სტუდენტთა კონსულტაციასა და მხარდაჭერაზე; - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ სტუდენტებისათვის მხარდაჭერისა და კონსულტაციის პრაქტიკა ადვილადაა ხელმისაწვდომი; - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ პროფესიული სტუდენტები მიღებულ სერვისებს აფასებენ სასარგებლოდ, აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
ინტერვიუ	პროფესიულ სტუდენტებთან, მიღებული სერვისების რელევანტურობის თაობაზე


ინდიკატორი	2. პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
შემოწმების ობიექტი	
შემოწმების საგანი	სასწავლო გარემოსთან სტუდენტთა ადაპტაციის პრაქტიკა
მტკიცებულება	<ul style="list-style-type: none"> - პროფესიული სტუდენტის ადაპტირების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულის/პერსონალის ფუნქციები; - პროფესიული სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის შედეგები; - ჩანაწერები, ოქმები და სხვა დოკუმენტები დაგეგმილი და/ან განხორციელებული მომსახურების შესახებ;
შემოწმების მიდგომა	<ul style="list-style-type: none"> - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ დაწესებულებაში არსებობს სტრუქტურა/პირი, რომელიც პასუხისმგებელია პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო გარემოსთან ადაპტირებაზე;

	<ul style="list-style-type: none"> - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო გარემოსთან ადაპტირების პროცესი მიმდინარეობს დადგენილი წესის შესაბამისად; - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ პროფესიული სტუდენტები მიღებულ ადაპტაციის სერვისებს აფასებენ სასარგებლოდ.
ინტერვიუ	პროფესიულ სტუდენტებთან, მიღებული სერვისების რელევანტურობის თაობაზე


ინდიკატორი	3. პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას;
შემოწმების ობიექტი	
შემოწმების საგანი	პროფესიულ სტუდენტთათვის ადმინისტრაციული მხარდაჭერის გაწევის პრაქტიკა
მტკიცებულება	<ul style="list-style-type: none"> - სტუდენტისათვის ადმინისტრაციული მხარდაჭერის გაწევაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულის/პერსონალის ფუნქციები; - დოკუმენტი, რომლითაც განსაზღვრულია ადმინისტრაციული მხარდაჭერის ვადები; - პროფესიული სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის შედეგები.
შემოწმების მიდგომა	<ul style="list-style-type: none"> - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ დაწესებულებაში არსებობს სტრუქტურა/პირი, რომელიც პასუხისმგებელია სტუდენტთა ადმინისტრაციულ მხარდაჭერაზე; - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ ადმინისტრაციული მხარდაჭერა გაწევა მიმდინარეობს გონივრულ ვადებში, მოთხოვნილი მხარდაჭერის მიზნებიდან გამომდინარე; - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ პროფესიული სტუდენტები მიღებულ ადმინისტრაციულ სერვისებს აფასებენ დადებითად.
ინტერვიუ	პროფესიულ სტუდენტებთან, მიღებული სერვისების რელევანტურობის თაობაზე


ინდიკატორი	4. პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას;
შემოწმების ობიექტი	
შემოწმების საგანი	სტუდენტთათვის დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერის გაწევის პრაქტიკა
მტკიცებულება	<ul style="list-style-type: none"> - რეგულაცია დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების ადმინისტრირებასთან დაკავშირებით (ინიცირება, განხილვა, გადაწყვეტილების მიღება და გაცნობა); - პროფესიული სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის შედეგები;

	<ul style="list-style-type: none"> - ჩანაწერები, ანგარიშები, ნიუსები, ფოტო და ვიდეო მტკიცებულებები და სხვა დოკუმენტები განხორციელებული და/ან დაგეგმილი (სპორტული, ხელოვნების, შემეცნებითი) სტუდენტური ინიციატივების/აქტივობების/პროექტების და სხვ. შესახებ.
შემოწმების მიდგომა	<ul style="list-style-type: none"> - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ დაწესებულებაში დადგენილია წესი დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების ადმინისტრირებასთან დაკავშირებით; - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ პროფესიული სტუდენტები იღებენ სათანადო, გონივრულ მხარდაჭერას მათი ინიციატივების განსახორციელებლად; - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ პროფესიული სტუდენტები მიღებულ ადაპტაციის სერვისებს აფასებენ დადებითად.
ინტერვიუ	პროფესიულ სტუდენტებთან, მიღებული მხარდაჭერით კმაყოფილების თაობაზე


ინდიკატორი	5. პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურებას.
შემოწმების ობიექტი	
შემოწმების საგანი	სტუდენტთათვის გაწეული სერვისების გაუმჯობესების პროცესი
მტკიცებულება	<ul style="list-style-type: none"> - პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის კითხვარი; - პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის შედეგები; - ხარისხის შიდა რეკომენდაციები და დასკვნები სერვისების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით; - ჩანაწერები, ოქმები, განხორციელებული აქტივობების მტკიცებულებების სერვისების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით.
შემოწმების მიდგომა	<ul style="list-style-type: none"> - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ პროფესიულ სტუდენტთა კვლევის კითხვარი რელევანტურია სათანადო უკუკავშირის მისაღებად; - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ სტუდენტთა უკუკავშირის მოწყვა/დაიგეგმა სათანადო რეაგირება სერვისების გაუმჯობესების ნაწილში.
ინტერვიუ	არა


კრიტერიუმი 3.2.2. პსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორი	1. კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის;
შემოწმების ობიექტი	
შემოწმების საგანი	არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტათვის კარიერული მხარდაჭერის გაწევის პრაქტიკა
მტკიცებულება	<ul style="list-style-type: none"> - არსებული და პოტენციური სტუდენტისათვის კარიერული მხარდაჭერის გაწევაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულის/პერსონალის ფუნქციები; - რეგულაცია კარიერულ მხარდაჭერასთან დაკავშირებით; - პროფესიული სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის შედეგები; - პროფესიულ ორიენტაციასა და დასაქმებასთან დაკავშირებით დაგეგმილი/განხორციელებული ღონისძიებების მტკიცებულებები (ფოტო, ვიდეო მტკიცებულებები, ნიუსები, ინტერვიუები, შეხვედრის ოქმები და სხვა).
შემოწმების მიდგომა	<ul style="list-style-type: none"> - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ დაწესებულებაში არსებობს სტრუქტურა/პირი, რომელიც პასუხისმგებელია არსებულ და პოტენციურ პროფესიულ სტუდენტთა კარიერული განვითარების მხარდაჭერაზე; - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ დაწესებულებაში არსებულ და პოტენციურ პროფესიულ სტუდენტთა კარიერული განვითარების მხარდაჭერის სერვისის ფუნქციონირებს; - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ პროფესიული სტუდენტები მიღებულ კარიერულ სერვისებს აფასებენ დადებითად.
ინტერვიუ	პროფესიულ სტუდენტებთან მიღებული მხარდაჭერით კმაყოფილების თაობაზე

ინდიკატორი	2. პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
შემოწმების ობიექტი	
შემოწმების საგანი	პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან დასაქმებასთან და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებული კომუნიკაციის პროცესი
მტკიცებულება	<ul style="list-style-type: none"> - პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან კომუნიკაციაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულის/პერსონალის ფუნქციები; - პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით მიწოდებული ინფორმაცია (ინფორმაციის მიწოდების წყაროები, ელ-ფოსტა, მიმოწერა და სხვა კომუნიკაციის საშუალებები);

	<ul style="list-style-type: none"> - პროფესიული სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის შედეგები.
შემოწმების მიდგომა	<ul style="list-style-type: none"> - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ დაწესებულებაში არსებობს პირი/სტრუქტურა, რომელიც პასუხისმგებელია პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან კომუნიკაციაზე; - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ კომუნიკაცია დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით ხორციელდება რეგულარულად, კომუნიკაციის ადეკვატური საშუალებების გამოყენებით; - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ პროფესიული სტუდენტები მიღებულ კარიერულ სერვისებს აფასებენ დადებითად.
ინტერვიუ	კურსდამთავრებულებთან, კვლევის ჩატარების ფაქტთან დაკავშირებით

ინდიკატორი	3. პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით
შემოწმების ობიექტი	
შემოწმების საგანი	დასაქმებასთან დაკავშირებით პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების კვლევის პროცესი
მტკიცებულება	<ul style="list-style-type: none"> - პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების კვლევის მეთოდოლოგია; - კვლევისთვის გამოყენებული/შემუშავებული კითხვარ/ებ/ი; - კვლევის შედეგების ანალიტიკური დოკუმენტი; - ჩატარებული კვლევის შედეგების გათვალისწინებით დაგეგმილი/განხორციელებული აქტივობების ამსახველი დოკუმენტაცია.
შემოწმების მიდგომა	<ul style="list-style-type: none"> - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ პროფესიულ სტუდენტთა და დასაქმებულთა კვლევის კითხვარი რელევანტურია სათანადო უკუკავშირის მისაღებად; - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ პროფესიულ სტუდენტთა/დასაქმებულთა უკუკავშირის მოწყვა/დაიგეგმა სათანადო რეაგირება სერვისების გაუმჯობესების ნაწილში; - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ კვლევა ხორციელდება პერიოდულად, გეგმაზომიერად, გონივრულ ვადებში.
ინტერვიუ	არა


ინდიკატორი	4. კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს
შემოწმების ობიექტი	
შემოწმების საგანი	პროფესიულ სტუდენტთათვის გაწეული მომსახურების გაუმჯობესების პროცესი


მტკიცებულება	<ul style="list-style-type: none"> - პროფესიულ სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევის კითხვარი; - პროფესიულ სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევის შედეგები; - ხარისხის შიდა რეკომენდაციები და დასკვნები სერვისების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით; - ჩანაწერები, ოქმები, განხორციელებული აქტივობების მტკიცებულებების სერვისების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით.
შემოწმების მიდგომა	<ul style="list-style-type: none"> - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ პროფესიულ სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა კვლევის კითხვარი რელევანტურია სათანადო უკუკავშირის მისაღებად; - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა უკუკავშირის მოწყვა/დაიგეგმა სათანადო რეაგირება სერვისების გაუმჯობესების ნაწილში.
ინტერვიუ	არა

სტანდარტი 4. ადამიანური რესურსები


კომპონენტი 4.1. პერსონალის და პროცესების მართვა

კრიტერიუმი 4.1.1. პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას


ინდიკატორი	1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
შემოწმების ობიექტი	
შემოწმების საგანი	სტრუქტურული ერთეულების და მათი შესაბამისი პოზიციების/სტრუქტურული ერთეულების გარეშე არსებული პოზიციებისათვის განსაზღვრული ფუნქციები
მტკიცებულება	<ul style="list-style-type: none"> - დოკუმენტი, რომლითაც განსაზღვრულია სტრუქტურული ერთეულების და მასში შემავალი პოზიციების ფუნქციები; დოკუმენტი, რომლითაც განსაზღვრულია იმ პოზიციების ფუნქციები, რომლებიც არ შედიან რომელიმე სტრუქტურულ ერთეულში. - დოკუმენტი, რომლითაც განსაზღვრულია ფუნქციების გაცნობის/ცვლილებების შეტანის და ინფორმირების/პროცესში ჩართულობის მექანიზმი.
შემოწმების მიდგომა	<ul style="list-style-type: none"> - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ ფუნქციები განსაზღვრულია ყველა სტრუქტურული ერთეულის და პოზიციისათვის, რომელიც არ შედის სტრუქტურულ ერთეულში; შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ ფუნქციები განსაზღვრულია საშტატო განრიგით გათვალისწინებული და საშტატო განრიგის მიღმა არსებული ყველა სტრუქტურული ერთეულისთვის, სტრუქტურულ ერთეულში შემავალი ყველა პოზიციისათვის, და ყველა იმ პოზიციისათვის, რომელიც არ შედის რომელიმე სტრუქტურულ ერთეულში. - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ სტრუქტურული ერთეულების/პოზიციების ფუნქციები განსაზღვრულია მკაფიოდ, შეესაბამება სტრუქტურული ერთეულის/პოზიციის დასახელებას, არ არის ბუნდოვანი ან არ ხდება ძირითადი ფუნქციების დუბლირება.
ინტერვიუ	არა


ინდიკატორი	2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
შემოწმების ობიექტი	
შემოწმების საგანი	სტრუქტურული ერთეულების და მათი შესაბამისი პოზიციების/სტრუქტურული ერთეულების გარეშე არსებული პოზიციებისათვის განსაზღვრული ფუნქციები

მტკიცებულება	<ul style="list-style-type: none"> - დოკუმენტი, რომლითაც განსაზღვრულია სტრუქტურული ერთეულების და მასში შემავალი პოზიციების ფუნქციები; - დოკუმენტი, რომლითაც განსაზღვრულია იმ პოზიციების ფუნქციები, რომლებიც არ შედიან რომელიმე სტრუქტურულ ერთეულში; - სტრუქტურა, ორგანოგრამა; - დაწესებულების პროცესების ჩამონათვალი/სამოქმედო გეგმა; - სამოქმედო გეგმები.
შემოწმების მიდგომა	<ul style="list-style-type: none"> - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ დაწესებულების ყველა პროცესს ჰყავს პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული/პოზიცია ან პროცესი უზრუნველყოფილია გაფორმებული აუთოსორსის ხელშეკრულებებით. - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ შესაბამისი პროცესი ასახულია სტრუქტურული ერთეულის/პოზიციის ფუნქციებში. - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ სამოქმედო გეგმებში ასახული ამოცანებს/აქტივობებს ჰყავს შესაბამისი პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული/პირი. - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ დაწესებულების წესდებით/დებულებით/სტრატეგიული (სამოქმედო) გეგმით განსაზღვრული მიზნების შესრულება რეალისტურია/შესაძლებელია, სამტატო განრიგში და სამტატო განრიგს მიღმა დადგენილი სტრუქტურული ერთეულების/პოზიციების არსებობით, მათთვის განსაზღვრული ფუნქციების გათვალისწინებით.
ინტერვიუ	არა


ინდიკატორი	3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.
შემოწმების ობიექტი	
შემოწმების საგანი	ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/ პოზიციების ფუნქციები
მტკიცებულება	<ul style="list-style-type: none"> - დოკუმენტი, რომლითაც გაწერილია ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პოზიციების ფუნქციები; - ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის აღმწერი რეგულაციები; - ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმა, - ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ფუნქციონირების დამადასტურებელი დოკუმენტები/ინფორმაცია აქტივობების შესახებ.
შემოწმების მიდგომა	<ul style="list-style-type: none"> - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პოზიციების ფუნქციები არ მოიცავს ისეთ მოვალეობებს/პასუხისმგებლობებს, რომლებიც მისივე შემოწმების საგანია.
ინტერვიუ	არა


კრიტერიუმი 4.1.2 პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას

ინდიკატორი	1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.
შემოწმების ობიექტი	
შემოწმების საგანი	პერსონალის მართვის პროცესები და მათი ამსახველი რეგულაციები
მტკიცებულება	<ul style="list-style-type: none"> - პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი; - დაწესებულების შინაგანაწესი; - პერსონალთან დადებული კონტრაქტები; - მასწავლებელთა დატვირთვის სქემები; - სამუშაოზე აღრიცხვის ფორმები; - დოკუმენტი, რომლითაც დადგენილია პერსონალის ინფორმირების/პროცესში ჩართულობის მიდგომები დაგეგმილი/განხორციელებული ცვლილებების შესახებ;
შემოწმების მიდგომა	<ul style="list-style-type: none"> - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი და შინაგანაწესი არ ეწინააღმდეგება შრომის კანონმდებლობას; - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ პერსონალის მართვა ხორციელდება კანონმდებლობით და დაწესებულების მიერ დადგენილი რეგულაციების მიხედვით; - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ რომლითაც შრომით-სამართლებრივი ურთიერთობის პრინციპები დაცულია მიმდინარე პროცესებში; - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ დაწესებულების პერსონალი ფლობს ინფორმაციას მასზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობების შესახებ.
ინტერვიუ	პერსონალთან, შრომის პირობებთან (შრომის კოდექსით განსაზღვრული არსებითი პირობები, დაწესებულების რეგულაციებით განსაზღვრული დამატებითი პირობები) დაკავშირებით.

ინდიკატორი	2. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
შემოწმების ობიექტი	
შემოწმების საგანი	პერსონალის მოზიდვის, შერჩევის რეგულაციები და არსებული პრაქტიკა
მტკიცებულება	<ul style="list-style-type: none"> - რეგულაცია, რომლითაც დადგენილია პერსონალის მიღების (როგორც შრომითი ურთიერთობა, ისე მომსახურების გაწევის პირობა) წესი; - დოკუმენტი, რომლითაც განსაზღვრულია პირადი საქმის შემადგენლობა;


	<ul style="list-style-type: none"> - კონკრეტულ პოზიციაზე განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნები; - პერსონალის სამსახურში მიღების პროცესის ამსახველი მტკიცებულებები (კონკურსის განცხადებები, საკონკურსო კომისიის ოქმები, სამუშაოზე მიღების განცხადებები, კონკურსანტებისთვის მიწოდებული უკუკავშირი, შერჩევის რეგულაციით დადგენილი მოთხოვნებთან შესაბამისობის ამსახველი მტკიცებულებები).
შემოწმების მიდგომა	<ul style="list-style-type: none"> - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ სამუშაოზე მიღების რეგულაცია უზრუნველყოფს პროცესების ობიექტურობას და გამჭვირვალებას; - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ სამუშაოზე მიღების პრაქტიკა შეესაბამება დადგენილ რეგულაციებს.
ინტერვიუ	2020 წლის შემდეგ დასაქმებულ პირებთან, სამსახურში მიღების დადგენილი წესების და პროცესების ურთიერთ შესაბამისობასთან დაკავშირებით.

ინდიკატორი	3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
შემოწმების ობიექტი	
შემოწმების საგანი	პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები
მტკიცებულება	<ul style="list-style-type: none"> - პერსონალის სამუშაო აღწერილობები; - პერსონალის მიმართ განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნები; - პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; - საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით გამოყენებული დოკუმენტაცია/გაწერილი მიდგომები.
შემოწმების მიდგომა	<ul style="list-style-type: none"> - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ სამუშაო აღწერილობა განსაზღვრულია ყველა პოზიციისათვის; - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ კონკრეტული პოზიციისათვის დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნები რელევანტურია შესაბამისი სამუშაოს შესასრულებლად; - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ მტკიცებულებები/მიდგომები, რომლებსაც დაწესებულება იყენებს პირის საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დასადგენად ოპტიმალურია არსებული გარემოებების გათვალისწინებით.
ინტერვიუ	არა


ინდიკატორი	4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.
შემოწმების ობიექტი	
შემოწმების საგანი	პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა
მტკიცებულება	<ul style="list-style-type: none"> - პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი; სხვა დოკუმენტი რომელიც ორგანიზაციულ კულტურას განსაზღვრავს (არსებობის შემთხვევაში); - მტკიცებულებები იმისა, რომ მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს (გადაწყვეტილებების მიღების მექანიზმები, სამუშაო ჯგუფები, კოლეგიალური ორგანოები, მათი ოქმები, შეხვედრების ჩანაწერები/დასწრების ფურცლები, კორესპონდენცია, ნიუსები, სტრატეგიული/სამოქმედო/სტრუქტურული ერთეულების სამოქმედო გეგმებით აქტივობებზე განსაზღვრულ პასუხისმგებელ პირებთან ერთად შემსრულებელი და თანამონაწილე პირების პროცესში ჩართულობის/ერთობლივი მუშაობის დამადასტურებელი ფაქტები და სხვა მტკიცებულებები).
შემოწმების მიდგომა	<ul style="list-style-type: none"> - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ გუნდურობა და პერსონალის ჩართულობა მნიშვნელოვანი, მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებაში, დამკვიდრებული პრაქტიკაა; - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ პერსონალის ჩართულობის უფლება და გუნდურობის მხარდაჭერა არაა მხოლოდ მენეჯერის კეთილი ნება, არამედ გამყარებულია/გარანტირებულია შესაბამისი რეგულაციებით.
ინტერვიუ	პერსონალთან, გუნდურობისა და მონაწილეობითობის არსებულ პრაქტიკაში დარწმუნების მიზნით.

კომპონენტი 4.2. პერსონალის განვითარება


კრიტერიუმი 4.2.1. პსდ-ს მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორი	1. პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას;
შემოწმების ობიექტი	
შემოწმების საგანი	პერსონალის შეფასების მექანიზმები და შედეგებზე რეაგირების პრაქტიკა
მტკიცებულება	<ul style="list-style-type: none"> - დოკუმენტი, რომლითაც გაწერილია პერსონალის საქმიანობის შეფასების მექანიზმები (პასუხისმგებელი პირ/ებ/ი, პროცედურები, მეთოდები/ინსტრუმენტები, სიხშირე, შედეგებზე რეაგირების მიდგომები, პერსონალისთვის უკუკავშირის მიწოდების ფორმები);


	<ul style="list-style-type: none"> - პერსონალის საქმიანობის შეფასების შედეგები; - დოკუმენტი, რომლის ფარგლებშიც დაწესებულება ახდენს პერსონალის საჭიროებათა კვლევას; - პერსონალის საჭიროებათა კვლევის შედეგები.
შემოწმების მიდგომა	<ul style="list-style-type: none"> - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ დაწესებულებაში მოქმედებს პერსონალის საქმიანობის შეფასების სისტემა და ითვალისწინებს პერსონალის თვითშეფასების შესაძლებლობებს; - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ დაწესებულებაში მიმდინარეობს პერსონალის საჭიროებათა კვლევა, რომლის შედეგები გაანალიზებულია.
ინტერვიუ	პერსონალთან ჩატარებული კვლევებისა და შედეგებზე ინფორმირების შესახებ.


ინდიკატორი	2. პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით;
შემოწმების ობიექტი	
შემოწმების საგანი	პერსონალის განვითარების პოლიტიკის აღსრულების პრაქტიკა
მტკიცებულება	<ul style="list-style-type: none"> - პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების შედეგების ანალიზი; - პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევის შედეგების ანალიზი; - პერსონალის განვითარების გეგმა/გეგმები (შესაძლოა იყოს წლიური სამოქმედო გეგმის ნაწილი); - პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის განხორციელებული აქტივობების ამსახველი დოკუმენტები/მასალა; - განვითარების ღონისძიებებში მონაწილეობის სტატისტიკა; - ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.
შემოწმების მიდგომა	<ul style="list-style-type: none"> - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ დაწესებულებაში არსებობს სტრუქტურა/პოზიცია, რომელიც პასუხისმგებელია პერსონალის შეფასებაზე და მათ განვითარებაზე; - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების პოლიტიკა/ინსტრუმენტი ითვალისწინებს მათ მიერ საკუთარი ფუნქციების შესრულების შეფასებას; - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევის შედეგები ეფუძნება რეალურად განხორციელებულ შეფასებას; - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ პერსონალის განვითარების გეგმა/გეგმები გამომდინარეობს შესაბამისი კვლევის შედეგებიდან/დასაბუთებულია; - შემფასებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ პერსონალის განვითარების ღონისძიებები ასახულია წლიურ გეგმაში შესაბამისი ფინანსური რესურსის მითითებით.

ინტერვიუ	პერსონალთან, მათი შეფასების პროცესთან და განვითარების ღონისძიებების რელევანტურობასთან დაკავშირებით.
----------	---

ინდიკატორი	3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;
შემოწმების ობიექტი	
შემოწმების საგანი	პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობის პრაქტიკა
